საინფორმაციო ფურცელი - შეთავაზება

1. **მზღვეველი:** სააქციო საზოგადოება - სს «სადაზღვევო კომპანია ალდაგი»;
2. **დაზღვევის ხელშეკრულების სახე:** სიცოცხლის დაზღვევა
3. **დაზღვეული რისკის აღწერილობა/სადაზღვევო დაფარვის პირობები:**

   დაზღვეულის გარდაცვალება, განპირობებული უბედური შემთხვევით ან ნებისმიერი მიზეზით, რომელიც არ წარმოადგენს გამონაკლისს; დაზღვეულის გაუჩინარება (უგზო-უკვლოდ დაკარგვა) არ მიიჩნება გარდაცვალებად;
4. **დამზღვევის მიერ სადაზღვევო პრემიის გარდა სხვა ფინანსური ხარჯის გაწევის წინაპირობები, ოდენობა და წესი -** არ არის გათვალისწინებული
5. **ფრანშიზის სახე, ოდენობა და გამოყენების წინაპირობები**

   ფრანშიზა არის თანხა, რომელიც არ ექვემდებარება **მზღვეველის** მიერ ანაზღაურებას და რომელიც აკლდება ზარალის თანხის ოდენობას და რომელზეც **მზღვეველი** არ არის პასუხისმგებელი.

   ფრანშიზა – ასეთის არსებობის შემთხვევაში - **განისაზღვრება სადაზღვევო პოლისში**.

   ფრანშიზა შეიძლება იყოს:

   პირობითი – თანხობრივად გამოხატული პირობითი ზღვარი. თუ ზარალი ამ პირობით ზღვარზე ნაკლებია ან მისი ტოლია, **მზღვეველი** მას არ აანაზღაურებს. თუ ზარალი აღემატება ამ პირობით ზღვარს, **მზღვეველი** აანაზღაურებს ზარალის მთლიან ოდენობას;

   უპირობო – ის მინიმალური თანხა, რომელიც ყოველთვის გამოაკლდება მთლიანი ზარალის ოდენობას;

   თუ **პოლისში ფრანშიზის** ტიპი არ არის მითითებული, გამოიყენება **უპირობო ფრანშიზა;**

   ფრანშიზა შესაძლოა განისაზღვროს როგორც ყველა, ისე ცალკეული სახის ზიანისათვის სხვადასახვა მოცულობით და მიეთითოს პოლისში.

6. **დაზღვევის ხელშეკრულების საგამონაკლისო პირობები**

6.1 **ხელშეკრულების პირობების თანახმად, არ იფარება/არ ანაზღაურდება გარდაცვალების შემდეგი შემთხვევები:**

6.1.1 **თუ გარდაცვალება პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა ისეთ მოვლენებს, როგორიცაა: ომი, დაპყრობა, ნებისმიერი სახის საომარი/სამხედრო მოქმედებები, სამოქალაქო ომი, აჯანყება, რევოლუცია, გაფიცვა, ხელისუფლების ნებისმიერი ორგანოს მიერ განხორციელებული კონფისკაცია ან ნაციონალიზაცია, ნებისმიერი პირის ქმედებები, რომელიც მოქმედებს რაიმე ორგანიზაციის დავალებით ან დამოუკიდებლად და მიზნად ისახავს დე იურე ან დე ფაქტო ხელისუფლების დამხობას ან მასზე ზეგავლენას ტერორისტული ან ძალისმიერი მეთოდებით;**

6.1.2 თუ გარდაცვალება პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა მაიონიზირებელ გამოსხივებას, გარემოს რადიაქტიურ დაბინძურებას, ბირთვული საწვავის აალებას;

6.1.3 თუ გარდაცვალება პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა დაზღვეულის ალკოჰოლური ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნას; ან თუ დაზღვეული შემთხვევის დროს იმყოფებოდა ნარკოტიული, ფსიქოტროპული ან ტოქსიკური ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ;

6.1.4 თუ გარდაცვალება პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა დაზღვეულის მიერ ჩადენილ თვითმკვლელობას ან თვითმკვლელობის მცდელობას, განზრახ თვითდაზიანებას;

6.1.5 თუ გარდაცვალება შედეგია დაზღვეულის მკვლელობისა, რომლის პირდაპირ ან არაპირდაპირ, უშუალო ან არაუშუალო მონაწილედ გვევლინება მოსარგებლე ან ნებისმიერი პირი, რომელიც დაინტერესებულია გარდაცვალების გამო ანაზღაურების მიღებით;

6.1.6 თუ გარდაცვალება შედეგია დაზღვეულის მიერ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის ან ამგვარის მცდელობისა;

6.1.7 თუ გარდაცვალება შედეგია დაზღვეულის მიერ საკუთარი ნებით ხიფათში თავის ჩაგდების, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი ეს ქმედება მიმართულია ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად;

6.1.8 თუ გარდაცვალება შედეგია დაზღვეულის შიდსით დაავადების ან აივ-ით ინფიცირების;

6.1.9 თუ დაზღვევამდე დიაგნოსტირებულია რაიმე დაავადება (მათ შორის: ჩ ჰეპატიტი, თირკმლის ან ღვიძლის უკმარისობა, დიაგნოსტირებული ავთვისებიანი სიმსივნე), რომელიც გვევლინება გარდაცვალების მიზეზად;

6.1.10 თუ გარდაცვალება შედეგია დაზღვეულის ფსიქიკური ავადმყოფობის ან გონების დაბინდვის;

6.1.11 თუ გარდაცვალება პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა დაზღვეულის ყოფნას ნებისმიერ საფრენ საშუალებაში/ხომალდში, მასში შესვლას ან მისგან გამოსვლას, გარდა ლიცენზირებული მრავალძრავიანი საჰაერო ტრანსპორტით მგზავრობისა, რომელსაც ექსპლოატაციას უწევს ლიცენზირებული საჰაერო გადამზიდავი;

6.1.12 თუ გარდაცვალება პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა დაზღვეულის ყოფნას სამხედრო ძალების ან პოლიციის სამსახურში ან მონაწილეობას მათ მოქმედებებში;

6.1.13 თუ გარდაცვალება პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა დაზღვეულის მონაწილეობას ნებისმიერი სახის სიჩქარეზე შეჯიბრში;

6.1.14 თუ გარდაცვალება პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა დაზღვეულის მიერ სანაძლეოს პირობების, აკრობატული ილეთების შესრულებას, რეკორდის დამყარებას ან ასეთის მცდელობა;

6.1.15 თუ გარდაცვალება შედეგია მშობიარობასთან ან ორსულობასთან მთლიანად ან ნაწილობრივ დაკავშირებული გართულებებისა;

6.1.16 თუ გარდაცვალება პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა დაზღვეულის მონაწილეობას პროფესიული სპორტის სახეობებში (შეჯიბრი, წვრთნა, საჩვენებელი გამოსვლა);

6.1.17 თუ გარდაცვალება პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია ან შედეგად მოჰყვა დაზღვეულის მონაწილეობას შემდეგი სამოყვარულო სპორტის სახეობებში: საბრძოლო სახეობები, აკვალანგით ყვინთვა, პარაშუტით ან დელტაპლანით ხტომა, კლდეზე ცოცვა, ალპინიზმი, სპელეოლოგია.

6.1.18 დაზღვევა არ ვრცელდება პირებზე:

6.1.18.1 რომელთაც დაზღვევის ძალაში შესვლის მომენტში უტარდებათ სტაციონარული მკურნალობა ან რომელნიც საჭიროებენ მუდმივ მოვლას, ანუ სჭირდებათ დამხმარე ყოველდღიური საყოფაცხოვრებო აქტივობის შესასრულებლად.

6.1.18.2 რომელთა გარდაცვალების მიზეზი უცნობია

7. სადაზღვევო ანაზღაურებაზე უარის გაცხადება

7.1. მზღვეველი არ აგებს პასუხს და არ წარმოეშობა დაზღვევის ხელშეკრულებით განსაზღვრული არცერთი ვალდებულება ისეთ შემთხვევაზე, რომელიც დადგა დამზღვევის მიერ პრემიის ან პრემიის პირველი შესატანის (პერიოდულად გადახდის შემთხვევაში) სრულად გადახდამდე;

7.2 იმ შემთხვევაში, თუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის დამზღვევს სრულად არ აქვს გადახდილი შეთანხმებული გრაფიკით გათვალისწინებული სადაზღვევო პრემია, მზღვეველი თავისუფლდება მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულებისგან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნათა დაცვით;

7.3. მზღვეველი უფლებამოსილია არ აანაზღაუროს ის შემთხვევები, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებითა და მისი დანართებით განსაზღვრული დაზღვევის პირობებით და/ან ხვდება გამონაკლისთა ნუსხაში;

7.4. მზღვეველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე დამზღვევის (დაზღვეულის/ მოსარგებლის) მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში;

7.5. მზღვეველი უფლებამოსილია არ აანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევა დამზღვევის/დაზღვეულის/მოსარგებლის მიერ (ან დამზღვევის/დაზღვეულის/მოსარგებლის მონაწილეობით) სადაზღვევო შემთხვევის ფაქტის, ანაზღაურების მიღებისათვის აუცილებელი დოკუმენტების გაყალბების ან ყალბი ინფორმაციის წარმოდგენის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში;

7.6. მზღვეველის უფლებამოსილების განხორციელების მიზნებისათვის, დაზღვეული ან მისი მემკვიდრე ვალდებულია, მზღვეველის

მოთხოვნის შემთხვევაში, მიანიჭოს მზღვეველს უფლებამოსილება, მზღვეველის მიერ დადგენილი ფორმით, შესაბამისი დაწესებულებიდან დაზღვეულის პერსონალური, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების გამოთხოვის თაობაზე. დაზღვეულის ან მისი მემკვიდრის მიერ მითითებული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს მზღვეველის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე უარის თქმის საფუძველს.

7.7. მზღვეველი უფლებამოსილია, უარი განაცხადოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ჰქონდა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რომელიმე საგამონაკლისო გარემოებას და/ან ასევე, რომელიმე შემდეგ შემთხვევას:

7.7.1. მზღვეველისთვის სადაზღვევო შემთხვევისა და ამ შემთხვევის განმაპირობებელი ზიანის შესახებ ინფორმაციის დროულად მიუწოდებლობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დგინდება, რომ მზღვეველმა თავის დროზე გაიგო მომხდარი სადაზღვევო შემთხვევის შესახებ.

7.7.2. დაზღვეულმა განზრახ არ მიიღო ზარალის შესამცირებლად მისთვის ხელმისაწვდომი, გონივრული ზომები, რაც გახდა სადაზღვევო შემთხვევისა და ამ შემთხვევის განმაპირობებელი ზიანის ან მისი ოდენობის განმსაზღვრელი ფაქტორი;

- ამასთან, დაზღვევა არ ვრცელდება ფსიქიურად დაავადებულ პირებზე და მათზე, ვისაც ესაჭიროებათ მუდმივი მოვლა და ზედამხედველობა (პირები, რომლებსაც ყოველდღიური აუცილებელი საქმიანობისათვის ესაჭიროებათ სხვათა დახმარება) ან რომელთაც დაზღვევის ძალაში შესვლის მომენტში უტარდებათ სტაციონარული მკურნალობა;

8.1. დაზღვეულის გარდაცვალების შემთხვევის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე დაუყოვნებლივ, 48 საათის განმავლობაში, აცნობოს აღნიშნულის თაობაზე მზღვეველს წერილობითი ფორმით. ამასთან, თუ დამზღვევი წარმოადგენს დაზღვეულს, ამ პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულება ვრცელდება მოსარგებლეზე;

8.2. დაზღვეულის გარდაცვალებისას უფლებამოსილი პირი ვალდებულია, წარუდგინოს მზღვეველს შემდეგი დოკუმენტაცია:

8.2.1. დაზღვეულის გარდაცვალების მოწმობა (რომელშიც მითითებული უნდა იყოს გარდაცვალების თარიღი, ადგილი, დაბადების თარიღი და კანონმდებლობით დადგენილი სხვა ინფორმაცია);

8.2.2. სამედიცინო ცნობა დაზღვეულის გარდაცვალების შესახებ, ფორმა 106 (რომელშიც სავალდებულო წესით უნდა იყის მითითებული გარდაცვალების კონკრეტული მიზეზი); ამასთან, თუ ასეთი ცნობა წარმოდგენილი არ არის ან მასში მითითებული არ არის გარდაცვალების კონრეტული მიზეზი, მზღვეველს უნდა წარედგინოს

შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნა გარდაცვალების მიზეზების შესახებ.

8.2.3. შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების მიერ გაცემული ცნობა მომხადარის შესახებ; ექსპერტიზის დასკვნა გარდაცვალების მიზეზის შესახებ; თუ მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე – მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით გამოძიების ხელთ არსებული დოკუმენტაცია (საქმის მასალები);

8.2.4. მოსარგებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

8.2.5. მოსარგებლის, როგორც მემკვიდრის სამკვიდრო მოწმობა, რომელიც განსაზღვრავს მის წილს მამკვიდრებლის სამკვიდროში, თუ ასეთი პირი პირდაპირ არ არის დაზღვეულის მიერ შევსებულ განაცხადში მოსარგებლედ მითითებული);

8.3. მზღვეველი უფლებამოსილია, მოითხოვოს შესაბამისი კომპეტენტური ორგნოს მიერ გაცემული დოკუმენტი, რომელიც ადგენს დაზღვეულის გარდაცვალების კონკრეტულ მიზეზს, თუ დაზღვეულის გარდაცვალება გამოწვეულია არ არის უბედური შემთხვევით; უბედური შემთხვევით გამოწვეული გარდაცვალებისას ასეთი დოკუმენტის წარმოდგენა ერთმნიშვნელოვნად სავალდებულოა;

8.4. კონკრეტული შემთხვევის სპეციფიკიდან გამომდინარე, მზღვეველი უფლებამოსილია, მოითხვოს შემთხვევასთან დაკავშირებული დამატებითი დოკუმენტაცია.

8.5 ანაზღაურება გაიცემა ყველა ზემოხსენებული დოკუმენტების მიღებიდან და სადაზღვევო შემთხვევის აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

8.6 შემთხვევის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოუდგენლობის შემთხვევაში, მზღვეველი უფლებამოსილია, არ განიხილოს სადაზღვევო შემთხვევა და უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე.

8.7. სადაზღვევო ანაზღაურების გადახდა ხორციელდება ლარში, ხელშეკრულების დადების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, სადაზღვევო შემთხვევის აქტის საფუძველზე, რომელსაც ხელს აწერენ მზღვეველი და უფლებამოსილი პირი;

8.8. სადაზღვევო შემთხვევის აქტს ხელი უნდა მოეწეროს არაუგვიანეს ოცდაათი (30) დღისა მას შემდეგ, რაც მზღვეველს წარედგინა ამ დანართის 1-ლი მუხლით განსაზღვრული ყველა აუცილებელი დოკუმენტი.

წინამდებარე შეთავაზება წარმოადგენს არაამომწურავ ინფორმაციას დაზღვევის პირობების შესახებ და აღნიშნული დოკუმენტი არ არის დაზღვევის ხელშკრულების იდენტური ძალის მქონე
თქვენს მიერ წინამდებარე შეთავაზების გაცნობა და ჩვენს მიერ შეთავაზებასთან დაკავშირებით განმარტებების გაკეთება არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს და მოთხოვნებს თქვენსა და ჩვენს შორის